# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №19

ქ. ქუთაისი 16.04.2013წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ აიპ წყალტუბოს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება (შემდგომში- მყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის გიჩა ჯიქია და მეორეს მხრივ შპს "თელგი" წარმოდგენილი დირექტორი გოჩა ბრეგვაძის სახით (შემდგომში –მიმწოდებელი) ვდებთ შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებს შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "მიმწოდებლის" მიერ "მყიდველისათვის" შემდეგი საქონლის მიწოდება: მაცივარი **KLIMASAN 300** (ორი)ცალი 1500 ლარი და მაცივარი **ELIT NACIONAL** 500 ლარი

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს -2000 (ორიათას ) ლარს საქართველოში დადგენილი ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

## 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 დღის ვადაში.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციების წარდგენა შემსყიდველისათვის (ზედნადები; ა/ფაქტურა; მიღება-ჩაბარების აქტი).

## 4. შესყიდვის ობიექტის მიღება –ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდა შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
5.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ფორმით.
5.3 ანგარიშსწორება მყიდველის მიერ მოხდება ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული დოკუმენტაციების წარმოდგენის შემდეგ, არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

## 6.მხარეთა უფლებები და მოვალეობები

*6.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია:*

1) დროულად და მაღალხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.
2) დაიცვას "მყიდველის" ფინანსური და კომერციული საიდუმლოებანი, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მუშაობის პროცესში და არ გახადოს იგი მესამე პირთათვის ხელმისაწვდომი.

*6.2 "მყიდველი" ვალდებულია:*

1) გადაუხადოს "გამყიდველს" ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური.

6.3 მხარეებს უფლება აქვთ ერთმანეთისაგან მოითხოვონ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

## 7.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაეკისრებიან ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 5 დღის განმავლობაში 2013 წლის 16.04 - დან.

8.2.ხელშეკრულების ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 9. დავების გადაწყვეტა

9.1.მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

2.თუ შეთანხმება ვერ მოხდება, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით.

## 10. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

აიპ წყალტუბოს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება

ს/კ 221281636

დირექტორი:

გოჩა ჯიქია

პ/ნ 53001004689

მიმწოდებელი:

შპს "თელგი"

ს/კ 412675813

დირექტორი/

გოჩა ბრეგვაძე